# განმარტებითი ბარათი

**საქართველოს კანონზე „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატების შეტანის შესახებ"**

წარმოდგენილი კანონპროექტებით გათვალისწინებულია დამატების შეტანა საქართველოს კანონში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვით დარეგულირებულია მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომელთა კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს) მძღოლის მიერ მგზავრობის დროს მობილური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება და მძღოლების, აგრეთვე მგზავრების მიერ უსაფრთხოების ღვედების გამოყენების საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა, ასევე მგზავრთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად უმრავლეს განვითარებულ სახელმწიფოებში დაწესებულია უსაფრთხოების ღვედების გამოყენების ვალდებულება. ამავე დროს, საქართველოში გასული წლების განმავლობაში საკანონმდებლო აქტით არ ყოფილა დადგენილი უსაფრთხოების ღვედების გამოყენების ვალდებულება შესაბამისი პასუხისმგებლობით. ამავე დროს, საქართველოს მიერ ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება უსაფრთხოების ღვედების გამოყენების ვალდებულების ნათელი საკანონმდებლო რეგლამენტაცია. წარმოდგენილი კანონპროექტით დაწესებულია ვალდებულება უსაფრთხოების ღვედების გამოყენების, როგორც მძღოლებისათვის, ისე მის მარჯვნივ ან მარცხნივ მჯდომი მგზავრისათვის. ამავე დროს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს 118¹ მუხლს, რომლის მიხედვითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა მგზავრობის დროს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობისათვის. პასუხისმგებლობა ასეთი ქმედებისათვის ეკისრება მხოლოდ მძღოლს.

წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებულია ასევე მობილური კომუნიკაციის საშუალების გამოყენების აკრძალვის დაწესება მძღოლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს.

მობილური კომუნიკაციის საშუალების გამოყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს აკრძალულია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობით და დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, მათ შორის აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა. საქართველოში მობილური კომუნიკაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მატულობს ის საფრთხე რომელიც თან სდევს მობილური კომუნიკაციის საშუალების მართვის დროს. საგზაო შემთხვევების მკვეთრად სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხე არსებობს, როგორც თვითონ მძღოლების, ისე ზოგადად საზოგადოების მიმართ. ამის გამო აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინება. შესაბამისად შემოთავაზებულია უპირველესყოვლისა ამ მიზნებისთვის მობილური კომუნიკაციის საშუალების განმარტება და დადგენილია როგორც ზოგადი აკრძალვა, ასევე ის გამონაკლისი შემთხვევები, რისი არსებობისას პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა. მოცემული დებულებანი ეფუძნება როგორც დასავლეთ ქვეყნების კანონმდებლობას, ასევე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლას.

უსაფრთხოების ღვედების გამოყენების ვალდებულების და მობილური კომუნიკაციის საშუალებების სარგებლობის შეზღუდვის მიმართ საზოგადოების წარმომადგენელთა აზრის შესწავლის და მათი მხრიდან კონკრეტული რეკომენდაციების მიღების მიზნით 2004 წლის 3-9 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინიციატივით გაიმართა ე.წ. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა სატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი დებულებების რეფორმის პროექტის ფარგლებში. შეხვედრები [illegible] გაიმართა:

• 3 აგვისტოს – საერთაშორისო ორგანიზაციების მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებთან;

• 4 აგვისტო – მსუბუქი ავტომანქანების კერძო მფლობელებთან;

• 5 აგვისტო - ქალაქის სამარშრუტო ტაქსების და მსუბუქი ავტომანქანების ტაქსების მძროლებთან;

• 6 აგვისტო – საქალაქთაშორისო ავტობუსების და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებთან;

• 9 აგვისტო – შსს საგზაო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე თანამშრომლებთან.

მოცემული შეხვედრების დროს განხილულ იქნა უსაფრთხოების ღვედების გამოყენების საკითხი. ყველა შეხვედრის მონაწილეთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა უსაფრთხოების ღვედების გამოყენების სავალდებულოობას, განსაკუთრებით აუცილებლად ჩათვალა უსაფრთხოების ღვედების გამოყენება ავტომაგისტრალებზე.

ამავე დროს, ფოკუს ჯგუფების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირეს მობილური კომუნიკაციის საშუალებების (მობილური ტელეფონების) გამოყენების აკრძალვას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს. აღინიშნა, რომ თუ მძღოლს სურს ტელეფონით სარგებლობა უნდა გააჩეროს მანქანა და გამორთოს ძრავა. ამასთან ერთად, კანონპროექტით უნდა არსებობდეს შესაძლებლობა მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობის, როდესაც მძღოლი სარგებლობს ყურსასმენით ან ხმამაღალი (დინამიკური) საუბრის რეჟიმით. ასევე უნდა არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მძღოლი იძულებულია ისაუბროს მობილური კომუნიკაციის საშუალებით და მართოს მანქანა, რადგან არსებობს რეალური საფრთხე მისი ან სხვა პირის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის მიმართ.

ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მოტოციკლით მგზავრობისას მძღოლისა და მგზავრის მიერ მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება.

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2005 წლის 1 იანვრიდან, რათა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა მის ამოქმედებამდე გააცნონ საზოგადოების წარმომადგენლებს ახალი მოთხოვნები და აკრძალვები.

წარმოდგენილი კანონპროექტის დამტკიცება არ იწვევს დამატებითი ფინანსური დანახარჯების გაწევას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია პარლამენტის წევრი ლევან ბეჟაშვილი.